ოქმი:**ო03. 3724305001**

თარიღი:**31/10/2024**

ოქმი № 13

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2024 წელი, 29 ოქტომბერი

ქ.ოზურგეთი

12.00-12 .30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ბ. თოიძე, ლ. ბიგვავა, ბ. მელუა, გ. მდინარაძე, მ. ვაშალომიძე, ნ. ღაჟონია, ნ, ქარჩავა.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: მარიამ ჭანტურია

სხდომის თავმჯდომარემ, გ.ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის საკითხი, განაცხადა, რომ პროექტი შემოსულია არსებული კანონმდებლობის დაცვით, საკრებულოს ნორმატიული სამართლებრივი აქტის მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო ვრცელი ინფორმაცია პროგრამის შედგენის წესის, პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების ეტაპების, პროგრამის შედგენაში მონაწილე უფლებამოსილი პირების, მოქალაქეების ჩართულობისა და მონაწილეობის გაზრდის, შედგენის ვადების შესახებ კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა მ. ჭანტურიამ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტების საკრებულოს მორიგ სხდომაზე წრდგენას განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი